რეკომენდაცია

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ



რეკომენდაცია

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ

ევროკავშირი
საქართველოსთვის
Human Rights 4All

Empowered lives.
Resilient nations.

რეკომენდაციები მომზადებული და გამოცემულია საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი. გამოცემის შინაარსის ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

რეკომენდაცია

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ

უნივერსიტეტებში, კოლეჯებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში თავს იყრის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პერსონალური მონაცემები. საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაცული მონაცემების დიდი მოცულობა ამ სისტემაში მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის აუცილებლობას განაპირობებს, რაც მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერებას და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას გულისხმობს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სასწავლო პროცესის მართვისას სულ უფრო მეტად იყენებენ ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ სისტემებს, რაც მონაცემთა აღრიცხვისა და დამუშავების გაუმჯობესებულ შესაძლებლობებთან ერთად შეიცავს მონაცემებთან არაავტორიზებული წვდომის რისკსაც.

აღნიშნული რისკებისა და უმაღლესი განათლების სფეროში გამოვლენილი რიგი პრობლემური საკითხების გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა შეიმუშავა წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს. დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტისა და სწორი პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას.[1]

რეკომენდაციაში გამოყენებული ტერმინები

რეკომენდაციის მიზნებიდან გამომდინარე, წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1 რეკომენდაცია წარმოადგენს ზოგადი ხასიათის დოკუმენტს. კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან დამატებითი კონსულტაციები.

<u>პერსონალური მონაცემი</u> - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ, ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.

<u>მონაცემთა სუბიექტი</u> - ნებისმიერი ფიზიკური პირი (სტუდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა), ვისი პერსონალური მონაცემებიც მუშავდება.

<u>მონაცემთა დამმუშავებელი</u> - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

<u>მონაცემთა დამუშავება</u> - მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების, ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება, ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა, ან განადგურება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს, მაგალითად:

- სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე გასაჯაროება;
- ვიდეოთვალთვალი;
- ელექტრონულ პროგრამასა და სისტემაში მონაცემების აღრიცხვა, ან მოძიება;
- სხვა პირებისთვის, ან ორგანიზაციებისთვის მონაცემების გამჟღავნება;
- პირადი საქმის წარმოება;
- საშვთა ბიუროების მიერ მონაცემების შეგროვება და შენახვა.



1. პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება

იმისათვის, რომ მონაცემთა დამუშავება იყოს კანონიერი, აუცილებელია კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა და მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა.[2] უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მონაცემთა დამუშავების თითოეულ შემთხვევაში თავად უნდა უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავების საფუძვლის განსაზღვრა და მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონით განსაზღვრულ პრინციპებთან შესაბამისობა. ამ თავში განხილულია დამუშავების კანონიერი საფუძვლები და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ყველაზე რელევანტურ და გავრცელებულ საფუძვლებს ერთვის მაგალითებიც.

მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლები მოცემულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლში. ამ მუხლის მიხედვით, პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე საფუძვლის არსებობისას:

✓ *მონაცემთა სუბიექტის თანხმობა* - ***მაგალითად,*** *უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების თანხმობით მათი ბიოგრაფიული მონაცემების საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსება.*

იმისათვის, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებას საფუძვლად დაედოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, აუცილებელია რომ ეს თანხმობა:

- იყოს ნებაყოფლობითი;
- გამოხატული იყოს წინასწარ, მონაცემთა დამუშავებამდე;
- გამოხატული იყოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების შემდეგ;
- გამოხატული იყოს კონკრეტული მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე;

2 მონაცემთა დამუშავების პრინციპები დეტალურად განხილულია მე-2 თავში.

- გამოიხატოს ისეთი საშუალებით, რომლითაც ნათლად დგინდება მონაცემთა სუბიექტის ნება.[3]

მონაცემთა სუბიექტის თანხმობით მონაცემთა დამუშავებამდე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ სახეზეა თანხმობის კანონიერებისთვის განსაზღვრული ყველა ზემოაღნიშნული კომპონენტი და ამასთანავე, დაცულია თანხმობის კანონით გათვალისწინებული ფორმა. ***მაგალითად,*** *თუკი სტუდენტი ავადმყოფობის გამო გააცდენს საგამოცდო წერას და მას სურს გამოცდის აღდგენა, პროცესის გამჭვირვალობისა და საპატიო მიზეზის დადგენის მიზნით, შესაძლოა, საგანმანათლებლო დაწესებულებამ სტუდენტს მოსთხოვოს საავადმყოფო ფურცლის (ე.წ. „ბიულეტენი“) წარდგენა, რასაც შემდგომში დაურთავს სტუდენტის პირად საქმეს. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ წინასწარ განუმარტოს სტუდენტს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავების მიზანი და სტუდენტმა წერილობით გამოხატოს ნება მისი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავების თაობაზე* (ამგვარი შემთხვევებისთვის შესაძლებელია წერილობითი თანხმობის ფორმის შემუშავებაც);

✓ *მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით* **- ეს არის შემთხვევა, როდესაც კანონი პირდაპირ ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას.** ***მაგალითად,*** *„უმაღლესი განათლების შესახებ“*[4] *საქართველოს კანონის შესაბამისად,* **„***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს იმ კანდიდატთა ნუსხას, რომელთაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების*

3 საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ არ ადგენს თანხმობის კონკრეტულ ფორმას. წერილობითი ფორმის დაცვა სავალდებულოა, მაგალითად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისას. ამასთან, თანხმობის არსებობა/არარსებობასთან დაკავშირებული დავის წარმოშობის შემთხვევაში, თანხმობის არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მონაცემთა დამმუშავებელს.

4 საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შედეგად მოიპოვეს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლება.“
ამ შემთხვევაში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების გადაცემის საფუძველია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

- ✓ *მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად* **- აღნიშნული საფუძვლით მონაცემთა დამუშავებისას აუცილებელია სახეზე იყოს დამმუშავებლისათვის კანონმდებლობით (მაგალითად, მინისტრის ბრძანებით, მთავრობის დადგენილებით და ა.შ.) დაკისრებული ვალდებულება, რომლის შესრულება აუცილებლად მოითხოვს მონაცემთა კონკრეტული ფორმით დამუშავებას.** ***მაგალითად,*** *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის შესაბამის აქტს და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შედეგებს აქვეყნებს მის ოფიციალურ ვებგვერდზე;*[5]

- ✓ *მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად* **- ამ შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მონაცემების დამუშავება აუცილებელი უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესის დასაცავად.** ***მაგალითად,*** *საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესაძლოა სტუდენტის პერსონალური მონაცემები გაუმჟღავნოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმს, სტუდენტის ჯანმრთელობის დასაცავად.* **დგას თუ არა დღის წესრიგში სასიცოცხლო ინტერესის დაცვის აუცილებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს;**

5 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

- *მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის, ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად* **- ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს დამმუშავებლის, ან მესამე პირის კანონით დაცული ინტერესი, რომელიც აღემატება მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესს;**

- *კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია, ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;*

- *მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;*

- *მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).* ***მაგალითად,*** *სტუდენტი მიმართავს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომ გასცეს ცნობა მისი აკადემიური მოსწრებისა და საუნივერსიტეტო აქტივობების შესახებ. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მოიძიოს და დაამუშაოს ნებისმიერი პერსონალური მონაცემი, რომელიც აუცილებელია ცნობის მოსამზადებლად, მონაცემთა დამუშავებაზე სტუდენტის დამატებითი თანხმობის გარეშე.*

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისას - როგორიც არის, **მაგალითად,** ნასამართლობა, ეთნიკური კუთვნილება, ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის, სქესობრივი ცხოვრების შესახებ და სხვა – აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით, რომელიც ზოგადად კრძალავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას. თუმცა, ამავე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია რამდენიმე საგამონაკლისო შემთხვევა. კერძოდ, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით, ან თუკი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების

და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად და ა.შ. ***მაგალითად,*** *შესაძლოა უნივერსიტეტმა პროფესორს მოსთხოვოს საავადმყოფო ფურცლის (ე.წ. „ბიულეტენი“) წარდგენა, რათა შეაფასოს პროფესორის მიერ სამუშაოს გაცდენის, შრომითი ვალდებულებების შეუსრულებლობის მართლზომიერება (სამუშაოს გაცდენის საპატიოდ მიჩნევის საკითხი).* ამასთან, საგულისხმოა, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაშიც კი, დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირებისთვის გამჟღავნება.

აქვე აღსანიშნავია, რომ მონაცემების მიმართ განხორციელებული ყოველი ახალი ქმედება დამოუკიდებელ საფუძველს მოითხოვს. ***მაგალითად,*** *თუ ლექტორმა ვაკანტურ პოზიციაზე მისი კანდიდატურის განხილვისა და დასაქმების მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულებას საკუთარი ბიოგრაფია და გამოქვეყნებული სტატიების/ნაშრომების სია წარუდგინა, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციას ეს მონაცემები კანონიერი საფუძვლით აქვს მოპოვებული და მათი გამოყენება შეუძლია დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა, თუ დაწესებულებას სურს მოწვეული ლექტორის ბიოგრაფია ვებგვერდზეც განათავსოს, ამისთვის დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, მაგალითად, თანხმობაა საჭირო.*



2. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები

იმისთვის, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესი კანონიერად წარიმართოს, კანონიერი საფუძვლის გარდა აუცილებელია მონაცემთა დამუშავების **პრინციპების** დაცვაც. მონაცემთა დამმუშავებელს შეიძლება ჰქონდეს დამუშავების კანონით გათვალისწინებული საფუძველი, თუმცა კანონი მაინც დარღვეულად ჩაითვლება, თუ დამმუშავებელი არ დაიცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ **ყველა პრინციპს**:

- ✓ *სამართლიანობა და კანონიერება* - მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად, კანონიერად, ადამიანის ღირსების შეულახავად.

- ✓ *კონკრეტული კანონიერი მიზნის არსებობის აუცილებლობა* - ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რა მიზნით ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება. ***მაგალითად,*** *საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესაძლოა სტუდენტისგან მოიპოვოს მისი საკონტაქტო ინფორმაცია (მაგ. ელ. ფოსტის მისამართი) საგანმანათლებლო პროცესის შესახებ მისი ინფორმირების მიზნით. ამ შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავების მიზანი არის სტუდენტის ინფორმირება.*

- ✓ *ადეკვატურობა და პროპორციულობა* - მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. როგორც მონაცემთა კატეგორია, ასევე, მათი მოცულობა უნდა იყოს ამ მიზნის ადეკვატური და პროპორციული. ***მაგალითად,*** *თუ უნივერსიტეტი პოტენციურ აკადემიურ პერსონალს მოსთხოვს ცნობას საბანკო დაწესებულებიდან იმის შესახებ, რომ მას არ გააჩნია დებიტორული დავალიანება, აღნიშნული დასაქმების მიზანთან შეუსაბამოა (არაადეკვატური) და წარმოადგენს არაპროპორციული მოცულობით მონაცემების შეგროვებას.* აგრეთვე, თუ, ***მაგალითად,*** *კოლეჯი რამდენიმე სტუდენტს ერთად უგზავნის მათ მიმართ გა-*

მოცემულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, ადრესატი ინფორმაციას იღებს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა სტუდენტების შესახებაც, რაც სცდება იმ მოცულობას, რაც აუცილებელია სტუდენტის ინფორმირების მიზნის მისაღწევად. ასეთ შემთხვევაში, სასურველია, სტუდენტს მიეწოდოს დოკუმენტი სხვა სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, ან სტუდენტების მიმართ ინდივიდუალურად იქნას გამოცემული შესაბამისი აქტები.

- ✓ *ნამდვილობა და სიზუსტე* - მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების ნამდვილობა, სიზუსტე და საჭიროებისამებრ მათი განახლება. ***მაგალითად,*** *თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომში, ან მის დანართში არის უზუსტობა, ხარვეზი აღმოჩენისთანავე უნდა აღმოიფხვრას - მონაცემები უნდა გასწორდეს.* აგრეთვე, ***მაგალითად,*** *თუ პროფესორი უნივერსიტეტს მიაწვდის განახლებულ ბიოგრაფიულ მონაცემებს (CV), დაწესებულება ვალდებულია განაახლოს ძველი დოკუმენტი ახლით.*

- ✓ *მონაცემების შენახვის ვადა* - მონაცემები უნდა ინახებოდეს იმ ვადით, რაც აუცილებელია მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად. თუ კონკრეტული მონაცემის შენახვის ვადა კანონით არ არის განსაზღვრული, ეს ვადა უნდა განსაზღვროს თავად საგანმანათლებლო დაწესებულებამ დამუშავების მიზნიდან გამომდინარე. ***მაგალითად,*** *დამუშავების პრინციპი ირღვევა, როდესაც სტუდენტის საგამოცდო შედეგები უნივერსიტეტის ვებგვერდზე საგამოცდო პროცესის, სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ, განუსაზღვრელი ვადით რჩება გამოქვეყნებული, მაშინ, როდესაც მონაცემთა თავდაპირველი გამოქვეყნების მიზანი (სტუდენტთა ინფორმირება, პროცესის გამჭვირვალობა) მიღწეულია.* იმ მიზნის მიღწევის შემდგომ, რომლისთვისაც მონაცემები მუშავდება, საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა დაბლოკოს, წაშალოს, ან გაანადგუროს მონაცემები, ან შეინახოს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

3. მონაცემთა დამუშავების სპეციფიკური სახეები

3.1. ვიდეოთვალთვალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ვიდეოთვალთვალის განხორციელების სპეციალურ წესებს. კერძოდ, მკაფიოდ არის განსაზღვრული ის მიზნები, რომელთა მისაღწევადაც, შესაძლოა, ამა თუ იმ დაწესებულებამ, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებამ, განახორციელოს ვიდეოთვალთვალი. კანონის მიხედვით, ვიდეოთვალთვალის მიზანი შეიძლება იყოს:

- *პირის უსაფრთხოება* - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაძლოა, ვიდეოთვალთვალი განხორციელდეს სტუდენტების და სხვა პირთა უსაფრთხოების დასაცავად.
- *საკუთრების* დაცვა - ***მაგალითად,*** *ვიდეოთვალთვალის განხორციელება იმ ტერიტორიაზე, სადაც განთავსებულია ძვირადღირებული კომპიუტერული ტექნიკა, ან სხვა აპარატურა და სხვა გზით საკუთრების დაცვის მიზნის მიღწევა შეუძლებელია.*
- *არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისაგან* დაცვა;
- *საიდუმლო ინფორმაციის* დაცვა - იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რაიმე სახის საიდუმლო ინფორმაცია ინახება, შესაძლოა, საჭირო გახდეს შესაბამისი სივრცის მონიტორინგი.

ვიდეოთვალთვალის განხორციელება ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, დაუშვებელია. ***მაგალითად,*** *დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება სტუდენტების, ან უნივერსიტეტში დასაქმებული პირების ქცევის მონიტორინგის ან/და შინაგანაწესის დაცვის კონტროლის მიზნით.* ასევე, დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება აუდიტორიებში სასწავლო პროცესის კონტროლის მიზნით, ამის შესახებ მოსწავლეების/სტუდენტების და მასწავლებლების/ლექტორების შესაბამისი გაფრთხილების მიუხედავად.

გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობა საქმეზე *ანტოვიჩი* და *მირკოვიჩი* *მონტე-*

ნეგროს წინააღმდეგ. ამ საქმეზე 2017 წლის 28 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის აუდიტორიებში სასწავლო პროცესის მეთვალყურეობის მიზნით ღიად განხორციელებული ვიდეოთვალთვალის კანონიერებას, [6] სასამართლომ განმარტა, რომ პირადი ცხოვრების ცნება მოიცავს პროფესიული ხასიათის საქმიანობასაც, ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის აუდიტორია პროფესორების სამუშაო სივრცეს წარმოადგენს. ეს არის ადგილი, სადაც ლექტორები „არა მხოლოდ ასწავლიან სტუდენტებს, არამედ მათთან კავშირსაც ამყარებენ, რითაც ავითარებენ ორმხრივ ურთიერთობებს და აყალიბებენ საკუთარ სოციალურ იდენტობას.“[7] შესაბამისად, მათი ფარული, თუ აშკარა ვიდეოთვალთვალი სამუშაო ადგილზე, მათ პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვან ჩარევას წარმოადგენს. შედეგად, სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა დაადგინა.

ვიდეოთვალთვალი უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესასვლელის (შენობის შესასვლელი, დერეფანი, კიბის უჯრედი, ლიფტი) და გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად. **სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოების, საკუთრების დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით და თუ ამ მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია.**

იმ სივრცეში, სადაც ხორციელდება ვიდეოთვალთვალი, თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშანი ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ. **გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საგანმანათლებლო დაწესებულებას.** სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენებისას შესაბამის კერძო, ან საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.

---

6 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ანტოვიჩი და მირკოვიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ (ინგლისურ ენაზე): http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-178904.

7 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ანტოვიჩი და მირკოვიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ, §44.

ვიდეოთვალთვალის განხორციელება გამოსაცვლელ ოთახებში (მაგალითად, სპორტული დარბაზის გამოსაცვლელ ოთახში) და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში კანონით აკრძალულია[8].

საყურადღებოა ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მომზადებული ჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემის საკითხიც. თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მიმართავს სამართალდამცავი ორგანო და მოითხოვს ვიდეოჩანაწერს, უნივერსიტეტმა ჩანაწერის გადაცემის საკითხი უნდა შეაფასოს ინდივიდუალურად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. მაგალითად, შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით ვიდეოჩანაწერის გადაცემისთვის, შესაძლოა, აუცილებელი იყოს მოსამართლის განჩინება, ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის მოტივირებული დადგენილება.

მონაცემთა უკანონო, ან შემთხვევითი გამჟღავნების, ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, ასევე, მონაცემებზე არაავტორიზებული წვდომის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ წერილობით განსაზღვროს ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომის უფლებამოსილების საკითხები, მათ შორის, წვდომაზე უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის სამსახურიდან წასვლის ან/და მივლინების ან/და შვებულების პერიოდში.

ამასთან, მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა შექმნას ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა *(მონაცემთა ბაზა, სადაც პერსონალური მონაცემები დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით)*. სისტემა ჩანაწერების (სურათები/ხმა) გარდა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ.

მონაცემთა ყველა დამმუშავებელი ვალდებულია თითოეულ ფაილურ სისტემასთან დაკავშირებით აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი, რომელიც მოიცავს ფაილური სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის დეტალურ აღწერილობას. მონაცემთა დამმუშავებელს ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება ევალება არა მხოლოდ ვიდეოჩანაწერებთან მიმართებით, არამედ

8 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი.

ნებისმიერ მონაცემთა კატეგორიასთან დაკავშირებით. ფაილური სისტემის კატალოგი ინსპექტორს უნდა წარედგინოს ელექტრონულად, ვებგვერდის - www.catalog.pdp.ge - მეშვეობით.[9]

3.2. ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება

ბიომეტრიული მონაცემი არის პირის ფიზიკური, ფსიქიკური, ან ქცევის მახასიათებელი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისთვის და იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მაგალითად, *ბიომეტრიული მონაცემებია* თითის ანაბეჭდი, ტერფის ანაბეჭდი, თვალის ფერადი გარსი, სახის მახასიათებლები.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების წესებს და განსაზღვრავს მათი დამუშავების მიზნებს. კერძოდ, ასეთი მონაცემების დამუშავება დასაშვებია მხოლოდ უსაფრთხოების, საკუთრების და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით, კერძო დაწესებულებების შემთხვევაში, აგრეთვე დასაშვებია, თუ ეს აუცილებელია დამმუშავებლის საქმიანობის (მოცემულ შემთხვევაში, საგანმანათლებლო საქმიანობის) განხორციელებისათვის.

ამასთან, ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით უნდა იყოს შეუძლებელი, ან დაკავშირებული უნდა იყოს არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან. კანონით განსაზღვრული მიზნების გარდა, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება სხვა მიზნით დაუშვებელია. ***მაგალითად,*** *დაუშვებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების/ლექტორების შესვლა-გასვლის კონტროლი თითის ანაბეჭდის საშუალებით.*

იმ შემთხვევაში, თუ ბიომეტრიული მონაცემები მუშავდება კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, ამ სახის მონაცემების დამუშავებამდე უნდა მოხდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინფორმირება მონაცემების დამუშავების მიზანსა და მათი უსაფრთხოების დასაცავად მიღებული ზომების შესახებ.

9 ფაილური სისტემის კატალოგის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 და მე-20 მუხლებში.

4. წვდომა პერსონალურ მონაცემებზე

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზანზე და სამართლებრივ საფუძველზე, მონაცემთა შეგროვების გზებზე, ასევე, იმაზე, თუ ვის გადაეცა მისი მონაცემები, რა მიზნითა და რა საფუძვლით. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს თავად მონაცემთა სუბიექტი. **მონაცემთა სუბიექტს მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაუყოვნებლივ,** ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა, თუ აუცილებელია მოთხოვნილი ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში მოძიება, დაწესებულებასთან კონსულტაცია, მოსაძიებელია დიდი მოცულობით ინფორმაცია და სხვა.[10]

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი დაინტერესებულია მისი აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციით, მისი ნაშრომის შეფასებით. ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, შესაძლოა, უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის, სატელეფონო შეტყობინებების, ან/და სხვა საშუალებებით. თუმცა, ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ მისთვის და არა ნებისმიერი მესამე პირისთვის. ***მაგალითად,*** *ყველა სტუდენტი ინდივიდუალურად უნდა ეცნობოდეს მხოლოდ საკუთარ შეფასებას. ლექტორის მიერ სტუდენტის საგამოცდო ნაშრომთან დაკავშირებული შენიშვნების განხილვა სალექციო პროცესის მიმდინარეობისას, სხვა სტუდენტების თანდასწრებით არ უნდა მოხდეს.*

არასრულწლოვანი სტუდენტის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, შესაძლოა, ჰქონდეს მშობელს, ან მის სხვა კანონიერ წარმომადგენელს. რაც შეეხება სრულწლოვან სტუდენტებს, მათ შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ სტუდენტის თანხმობით.

მნიშვნელოვანია, რომ მესამე პირებისთვის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისას მოხდეს ინფორმაციის გაცემის ფაქტების აღრიცხვა. აღნიშნული წარმოადგენს კანონის მოთხოვნას და უნდა მოიცავდეს შემდგომ ინფორმაციას: რა მონაცემი იქნა გაცემული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით.

10 იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი.

5. მონაცემთა უსაფრთხოება

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები იმ ელექტრონული, თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტების შესახებ. დაწესებულებამ ელექტრონული ინფორმაციის დამმუშავებელი მოწყობილობები უნდა დაიცვას არაავტორიზებული წვდომისგან და განზრახ დაზიანებისგან; მონაცემები დაცული უნდა იყოს უკანონო გამჟღავნებისგან, შეცვლისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი, ან უკანონო დაკარგვისგან. მატერიალური დოკუმენტების შემთხვევაში მნიშვნელოვანია მათი ფიზიკური უსაფრთხოებაც, რაც შესაძლებელია სხვადასხვა ზომების მიღებით (მაგალითად, საკეტიან კარადებში და სეიფებში მათი მოთავსება და ა.შ.).

უნივერსიტეტის პერსონალს სასწავლო პროცესის მართვისა და ადმინისტრირების პროცესში წვდომა აქვს ელექტრონულ სისტემებთან/მონაცემთა ბაზებთან, რომლებშიც თავმოყრილია პერსონალური მონაცემები სტუდენტებისა და ლექტორების შესახებ. ლექტორი კონკრეტულ სისტემაში საკუთარ ანგარიშზე შესვლისას უნდა ხედავდეს მხოლოდ მისი სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგებს და მათ საკონტაქტო ინფორმაციას, ხოლო სტუდენტს უნდა ქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია მხოლოდ მისი ნიშნებისა და შეფასებების შესახებ.

ინტერნეტ ტექნოლოგიები ქმნის სტუდენტების ნიშნებზე, ნამუშევრებზე და სხვა პერსონალურ ინფორმაციაზე უკანონო წვდომის მოპოვების რისკს. **პერსონალურ მონაცემებზე უკანონო წვდომასა და მონაცემების გამჟღავნებაზე პასუხისმგებელია მონაცემთა დამმუშავებელი**, ანუ სასწავლო დაწესებულება, შესაბამისად, სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად სწორედ მან უნდა მიიღოს პრევენციული ზომები.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა

მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.

მონაცემებზე უკანონო წვდომის თავიდან ასაცილებლად, სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნდეს ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები (წესები, ნორმები, პროცედურები, პოლიტიკა), რაც საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს დაავალდებულებს, დაიცვან უსაფრთხოების ზომები. უსაფრთხოების ზომები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- პერსონალის ცნობიერების ამაღლება ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით;

- აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალისთვის მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში საკუთარ ანგარიშზე შესასვლელად პაროლის სირთულის მინიმალური მოთხოვნების დაწესება; შესაძლებელია, პაროლის შეყვანის შემდგომ დამატებითი დადასტურების მოთხოვნაც (მაგალითად, მობილურ ტელეფონზე გამოგზავნილი ერთჯერადი კოდი);

- უსაფრთხოების მიზნიდან გამომდინარე, პაროლის შეცვლის სიხშირის განსაზღვრა (პაროლის შეცვლის მოთხოვნა უნდა ხდებოდეს ავტომატურად) და პერსონალის მიერ პაროლის კონფიდენციალურობის დაცვა;

- ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება და უსაფრთხოების ზომების რეგულარული განახლება;

- პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვების აკრძალვა (სუფთა მაგიდის და სუფთა ეკრანის პრინციპების დაცვა) და ა.შ.

სასურველია, უსაფრთხოების პოლიტიკაში უსაფრთხოების ზომების გარდა გაიწეროს პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტით

გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის და დაწესებულება ახორციელებდეს პოლიტიკაში გაწერილი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ მონიტორინგს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე ნებისმიერი პირი უნდა აცნობიერებდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და არ დაუშვას პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათ შორის, გამჟღავნება, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის გარეშე.



6. რეკომენდაციები

- ***პერსონალურ მონაცემთა დამუშავება*** - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, პირველ რიგში, უნდა განსაზღვროს, თუ რა მონაცემებს ამუშავებს დაწესებულება, რა მიზნებით და რომელ სამართლებრივ საფუძველს განიხილავს თითოეულ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავების კანონიერების წინაპირობად. თუ მონაცემთა დამუშავების საფუძველი მონაცემთა სუბიექტის თანხმობაა, დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ თანხმობა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. საგანმანათლებლო დაწესებულებამ, აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს დამუშავების ყველა შემთხვევაში მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა.

- ***პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება*** - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ იმ მატერიალური, თუ ელექტრონული დოკუმენტების უსაფრთხოება, სადაც ინახება მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემები. მონაცემებთან არასანქცირებული წვდომის თავიდან ასაცილებლად მიღებულ უნდა იქნეს უსაფრთხოების სათანადო ზომები.

- ***პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა*** - სასურველია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნდეს პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა, რომელშიც გარდა მონაცემების დამუშავების მიზნების და საფუძვლებისა, ასევე, განისაზღვრება დამუშავების ვადები, მონაცემებზე წვდომის პირობები და უსაფრთხოების გარანტიები. აღნიშნული მონაცემთა დამუშავების პროცესს უფრო გამჭვირვალეს გახდის.

- ***მონაცემების დამუშავება ინტერნეტზე დაფუძნებული საშუალებებით*** - სასწავლო პროგრამებზე დარეგისტრირებისას, სასწავლო საგნების არჩევისას და სხვა შემთხვევებში ინტერნეტზე დაფუძნებული საშუალებებით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მნიშვნელოვანია მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების საკითხი. მაგალითად, როდესაც სტუდენტი ელექტრონულად აწვდის უნივერსიტეტს საკუ-

თარ მონაცემებს, აუცილებელია, მას მიეწოდოს კონკრეტული ინფორმაცია მისი მონაცემების დამუშავების მიზნებისა და დამუშავების სავარაუდო ფორმების (შენახვა, გამოყენება, გამოქვეყნება და ა.შ.) შესახებ. ამის თაობაზე მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება შესაძლებელია საგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის საშუალებით.

✓ ***ცნობიერების ამაღლება*** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დასამკვიდრებლად მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე და მათ უკანონო დამუშავებასთან დაკავშირებულ რისკებზე.



პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

თბილისი, ნ.ვაჩნაძის 7
(+995 32) 2 42 1000
office@pdp.ge
www.personaldata.ge
FB/DPAGeorgiaOfficial